ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1886039

ნომერი: AR1307168

თარიღი : 07.05.2015

გაცემის თარიღი : 13.05.2015

გაცნობის თარიღი : 13.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

გორგასლის ქუჩა 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არიფ კიარიმოვი პ/ნ 01024013632
- თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 71

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა #17-ში მდებარე ტერიტორიაზე ღია საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ იმ ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საიდანაც უნდა მოხდეს აღნიშნულ ობიექტთან მომსახურება და მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა (ან დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად). ასევე, დეტალური ნახაზი/გეგმა (ზომების მითითებით, საპროექტო ტერიტორიის ფართობის ჩვენებით), მაგიდა-სკამების დატანით და გათვალისწინებული იქნეს, რომ ტროტუარი დარჩეს 1,8 მ. ფეხითმოსიარულეთა გადაადგილებისთვის.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი გადაწყდება დადებითად, დამატებით წარმოსადგენი იქნება შესაბამისი თანხმობა სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-დან იმ ფართის გამოყენებაზე, სადაც უნდა მოხდეს ღია საზაფხულო კაფის მოწყობა, ან უნდა მოხდეს ტერიტორიის იჯარის წესით აღება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.